ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1915134

ნომერი: AR1311487

თარიღი : 19.05.2015

გაცემის თარიღი : 27.05.2015

გაცნობის თარიღი : 28.05.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ბრწყინვალე , N 30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზ წულაია პ/ნ 37001018394
- თბილისი, შარტავას 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 19/05/2015წ. AR1311487 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ტექნიკური შეცდომის გასწორებას ამავე სამსახურის 07.02.2015წ. №1718893 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 07.02.2015წ. №1718893 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი (საბურთალო),

დიდი დიღმის დასახლებაში, I მ/რ-ში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, II უბანში (ნაკვეთი №8), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.06.014.026), შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით, სამსახურში ფიქსირდება თქვენი 08/04/2015წ. AR1299238 განაცხადი კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, 07.02.2015წ. №1718893 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის ან/და ხარვეზების გასწორების საკითხი, საჭიროა გაითვალისწინოთ სამსახურში შესათანხმებლად წარმოდგენილ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში.
კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ სამსახურში წარმოდგენილ 08/04/2015წ. AR1299238 განაცხადთან დაკავშირებით, სამსახურის 03.05.2015წ. №1873698, 14.05.2015წ. №1895934, 18.05.2015წ. №1901392 შუალედური გადაწყვეტილებებით დადგენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და განაცხადის განსახილველად შემობრუნების შემდეგ, სამსახური იმჯელებს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შესაბამისი შესწორებ(ებ)ის ასახვის თაობაზე და მიღებულ გადაწყვეტილებას გაცნობებთ ელექტრონულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
